

# ივერია

გაზეთი ღირს:

მან. კ.	თვ.	მან. კ.
12 . . . 10 —	6 . . . 6 —	
11 . . . 9 50	5 . . . 5 50	
10 . . . 8 75	4 . . . 4 70	
9 . . . 8 —	3 . . . 3 55	
8 . . . 7 25	2 . . . 2 75	
7 . . . 6 50	1 . . . 1 50	

ცალკე ნომერი—ერთი შაბრი.

რედაქცია:  
ნიკოლოზის ქუჩა, № 24  
გაზეთის დასაბამად  
და განკუთვნილია დასაბეჭდად  
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის  
გაზარტ. საზოგადოების კანცელარიის.  
ფასი განცხადებისა:  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—  
16 კაპ. შემთხვევად—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ტარ-აკოვოვის კანსიონი

მეორე ხარისხისა

ამხადებს ყმაწვილებს გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, ზემლემერის სასწავლებელში და იუნკრის სასწავლებელში შესასვლელად. აღრესი: ტფილისის სოლოლაკი. განოვის ქუჩა № 11. (2—2).

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ 11 სექტემბერს პრინციპის ველზედ გეგმის ირავლა II ჯარსა და ალ-გაჰად-ხანის ლაშკრის შორის მოხდარ ბრძოლის ასის წლის უახლესის დღეს, ლიტურგიის შემდეგ ბერძენთა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, კრწანისის ველზედ, გარდნადილ იქნება კანაშვილი გარტლ-გადილაგალ გეგმარტა სული მოსახსენებლად, რომელთაც სარწმუნოებასა და სამძობლოს შესწირეს თავი ბ გურეთვე სამადლობელი საღმრთო ჰარაკლისი სამეფო, სამეგრეთის ოფისისა და ქრისტეს მოყვარე რუსეთის მსგებრების სადღეგრძელოდ, რომლის მფარველობის ქვეშეც საქართველო ერთის საუკუნის განმავლობაში დაუღრვევლის, მშვიდობიანის მოქალაქეობრივის განვითარებით სარგებლობდა.**

დასაწყისი ლიტურგიისა იქნება დილის 9 საათზედ. (6—2)

**მკვირი ღარიბ ივანე აბაშიძის ასული ქვინა წარმო-ლისა და შვილის მისი: თავადი კოსტანტინე, დიმიტრი, გრიგოლი, ალექსანდრე და შალვა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეფულისა თვისისა, ხოლო უკანასკნელი მამისა თვისისა თავადის სვიმონ როსტომის ძის წარმოლისას და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის გამოსვენებაზედ დასასწრებლად დ. საჩხერეს დილის 9 საათზედ, შაბათს, 9 სექტემბერს, საიდგანაც წასვენებული იქნება დასაკრძალად ჯრუჭის მონასტრის საგვარეულო სასაფლაოზედ. (2—1814—1)**

**ფელეტონი**  
სტოკოპა და ხალოვანა.  
III

თარგმანთა „კრებული“ ნიკიტინისა. „ცოდვა სიყვარულისა“ რომანი პ. ბურჟესი, თარგმანი გ. ყიფშიძის მიერ.

ისეთი უნუგეშო ხვედრი, როგორც მთარგმნელებს, მგონი, არც ერთს მოხვლეს არა აქვს ლიტერატურაში. საზოგადოდ მთარგმნელები მიჩნეულნი არიან შავ მუშად და, რასაკვირველია, მოკლებულნი არიან ყოველსავე ლიტერატურულს პატივს, რომელიც ფიანდაზად ეწოდება ხანდახან სრულიად უნიჭო ორიგინალურის თხზულებების მკვლევარებს. მართალია რომ ვთქვათ, ცოტათი-კი დაიმსახურეს ღირსებულად მთარგმნელებმა ასეთი უმართებულო მოქცევა, რადგან თარგმანს ჯიბის გასაცემად და კუჭის გასაძლომ იარაღად მიიჩნიათ და ხშირად სთარგმნიან ხოლმე ისეთ თხზულებებსაც-კი, რომ-

შემდეგ ხარჯის მკრეფავის მიერ მიეცემა ბილეთი, რომელიც უნდა შეინახონ, ვიდრე ხილს გავიდოდნენ, სავალიც არც-კი წაუკითხავთ მთლად, არავითარი აზრი არ შეუღვენით არც თვით წიგნზედ და არც მის ავტორზედ (ხშირად შეხედებით რუსულს ქურნალებში ისეთშია-კი, როგორც „რუსკ. მისლი“, რომ ჯერ ორიგინალში არ დათავებულა თხზულება და თარგმანი უკვე ნაწილ-ნაწილად იბეჭდება). შესაძლებელია ასეთი თხზულება მთარგმნელს გულითა და სულითა-კი ეზიზღებოდეს და ამნაირი თარგმანი რა იქნება ერთი გასინჯვით.

ამგვარ მოქმედებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ეხლანდელი თარგმანები სრულიად აფუჭებენ ხოლმე ორიგინალსა და იმდენზედ ასახირობენ მას, რომ თარგმანი წაიკითხოთ და მერე ორიგინალი, გეგონებათ სხვა-და-სხვა თხზულებასა ვკითხულობო.

იყო-კი დრო, ის დრო, როცა ყოველს საზოგადო საქმეს მოწოდებით ეკიდებოდნენ, უმადლესს მოვალეობად და საგნად მიიჩნდათ იგი, რომლის აღსასრულებლადც ღვთისაგან მოწოდებულად რაცდნენ თა-

დაც დაუბრუნებენ მეორეს, ხარჯის მკრეფავს.

**მსურს საპატიო ოჯახში** ვასწავლო ბავშვებს საღამოობით. სამაგიეროდ უნდა ბინა და ხარჯი მკონდეს.

ინსტიტუტის კურს შესრულებული ახალგაზდა ქალი.

აღრესი: „ივერიის“ რედაქცია. (3—უ—2)

**დავით ავალიშვილი, მოწაფე სათავად-აზნაურს სასწავლებლისა, სთხოვს ნათესავებს და გულის შემატყვივართ დახმარება აღმოუჩინონ სწავლის გასაგრძობად, რადგანაც ფულის შეუტანლობის გამო იგი დათხოვნილ იქნა სასწავლებლიდან.**

აღრესი: ნიკოლოზის ქუჩა, საიფოვის სახლი, № 24.

ბნის კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით გავხსენი

**სასწავლებელი**  
**ჯანსიონი**  
მ. ა. კარამანსკომ.

ყმაწვილების მიღება დაიწყება ორის სექტემბრიდან.

ნიკოლოზის ქუჩა № 23  
(4—1805—2)

კვირას, 3 სექტემბერს, ქართულ თავად-აზნაურთა თეატრში გამოჩენილი ფრანგი ჭიზიკი

**ბ. ღერსანი**  
გამართავს სხვა-ღ სხვა სურათებისას

**სალამოს**  
დასაწყისი 9 საათზედ.

ვის-თავს. ამ ხანს ეკუთვნის სასულიერო წიგნების თარგმანები და ტყუილად-კი არ უთქვამს გეტეს, რომ ვისაც უნდა რომელიმე ენა შეისწავლოს, მან უნდა იმ ენაზედ დაბადება წაიკითხოსო. ან სხვისი მოწმობა რაღა საქირა? აიღეთ ჩვენი სახარება და დავითნი, რომელნიც დღემდისაც თითქმის ერთად-ერთი დაუშრეტელი წყაროა და საუნჯე ჩვენი ენისა.

ჩვენში, მართალი რომ ვთქვათ, არავითარი ლიტერატურული შრომა არ არის დაჯილდოებული არა თუ თარგმანი და ამას თუ ბევრი გლახა შედეგი აქვს, ეს მაინც კარგი აქვს, რომ არსად ისეთი წმინდა და იდეალური სარჩული არ უდევს ლიტერატურულს შრომას, როგორც ჩვენში. ჩვენი ლიტერატორები ძალიან შორს არიან იმ საზღვარ-გარეთელ მწერლებზედ, რომელთაც თავიანთი შრომით სასახლები აუგიათ და კაპიტალები შეუტენიათ, იგინი ნამდვილი წამებულნი არიან. ტანჯულნი ზნეობრივად და მატერიალურად.

**პაბინატი პილის აქიბთა**  
მ. ი. პიბინაძისა და მ. ნის ძს. დ. ილარიონოვისა.

მიზელი. ქუჩა, სახლი კრავუნისი, 79.

აქადმყოფებს მიიღებენ დილის 9—საღამო ოს 4—7თააედმსე დ.

**ტფილისი, 3 სექტემბერი.**

სტამბოლიდან მოსულმა დეპეშამ საყურადღებო ამბავი მოგვითხრო: ოსმალეთის მთავრობათანხანმა გახდა და შეიწყნარა ევროპის სახელმწიფოთა წინადადება სომხეთში რეფორმების მოხდენის შესახებ; სომხების საქეთა განსახილველად ოსმალეთის მთავრობა აარსებს კომისიას, რომელიც ევროპის სახელმწიფოთა ელჩების განგების ქვეშ იქნება თითქმის... სხვა დრო და გარემოება რომ იყოს, ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა ოსმალეთის თანხმობა; შესაძლებელი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ოსმალეთი სხვისის დამპყდებისათვის და საქმის გაკიანურებისათვის ფორმალურს თანხმობას აცხადებს და შემდეგ ჩვეულებრივად დაპირებას არ ასრულებს. მაგრამ ამ ყმად საქმემ სრულიად სხვა-გვარი მიმართულება მიიღო. ინგლისის მთავრობა ისეთის ენერგიითა და დატინებით თხოულობდა ოსმალეთისაგან თვის წინადადებათა მიღებას, რომ ექვი არ იყო—როგორმე ნებითა თუ უნებურად, თავისას გაიტანდა. ხოლო ინგლისი ფორმალურს თანხმობას-კი არ თხოულობდა, პირ-იქით მან წინ-დაწინვე საშუალება იღონა და ოსმალეთი იძულებული გახდა, რომ ყოველივე, რასაც სომხების შესახებ განიზრახავს, ევროპის ელჩების მოწონებული და ნებადართული უნდა იქნას. ამრიგად ინგლისის წადილი, რომ სომხების მდგომარეობა ოსმა-

ამის მიზეზია ისიც, რომ ჩვენში ფულისათვის თარგმანი იშვიათია, უკეთა ვთქვათ სულაც არ არის. აქყველა სთარკმნის მას, რაც თვით მოსწონს, რაც მისი სულიერის განწყობილების დამაკმაყოფილებელია. ამიტომაც ჩვენში ადვილად შეიძლიანთ თარგმანების შემწეობით, ისე როგორც ორიგინალურის თხზულების შემწეობით, შეიგნოთ და შეადგინოთ ფსიხოლოგია მთარგმნელისა, რომელიც, რასაკვირველია, ორიგინალის ავტორის პსიხოლოგიას ემზავება.

სწორედ გითხრათ დიდი ბედია ჩვენთვის, რომ ასეთი გულითა და სულით მთარგმნელები გვყავს, რადგან, შეიძლება ჩვენს ქვეყანას არა სჭიროდეს ისე უცხოეთის ლიტერატურის შესწავლა, როგორც ჩვენსას, არათუ მითამ, რომ იგი ყველაზედ უფრო ღარიბი და დაქვეითებული იყო, არამედ იმიტომ, რომ არ მოიპოვება ლიტერატურა იმდენზედ ღარიბი თარგმანთა შესახებ, როგორც ჩვენი. ჩვენ არა-თუ მსოფლიო ლიტერატურისათვის შე-

ლეთში შემსუბუქებულ იქმნას, აღსრულდება.

ევროპის გარეშე პოლიტიკას კარგა ხანია იმნარი მტკიცედ აღნიშნული ხასიათი და მიმართულება აქვს, რომ შეუძლებელია დავივიწყოთ ერთს წამს და ვიფიქროთ, ვითომც დღეს იგი სტოვებს თავისს გზას და ახალს ხანას იწყებს საერთაშორისო ურთიერთობაში. კარგა ხანია ეს პოლიტიკა ევროსტურია და არც ერთი სახელმწიფო ისე ნაბიჯს არ გადაადგამს, თუ ნამდვილად არ იცის, რომ ნაბიჯის გადადგმა მას კიდევ უფრო გააძლიერებს და რაიმე სარგებლობას მოუტანს. რომ ეს ასეა, ამისი დამტკიცება ადვილია ისტორიის წარსულ მაგალითებით, მაგრამ საკმარისია მხოლოდ ახლანდელი მომენტი მოვიგონოთ. თუ ევროპა მართლაც კაცთმოყვარეობის გრძობით გაიმსჯვალა და მსურს დაჩაგრულ ერებს უსასყიდლოდ მფარველობა გაუწიოს, რად არ ურჩევს ესპანისს და არ მიატოვებს უაზრო სისხლის ღვრას კუბაზედ? რად არ ურჩევს საფრანგეთს—დაანებოს თავი მადაგასკარს? რატომ მაკვირნელთ უბედურს მდგომარეობას და ბრძოლას არ აქცევს ყურადღებას? არა, ყოვლად დაუჯერებელია, რომ საუკუნოებით გამოცდილი და ნავარჯიშები პოლიტიკა დღეს შეიცვალოს და ამიტომ სრული ნება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ინგლისი თვისს საქმეს აკეთებს აღმოსავლეთში, სომხების ბედ-იღბალი-კი საკვირველის მოხერხებით აქვს დახვეული ხელზედ. ძლიერ ძნელია ნამდვილად ვიცოდეთ—რა საგანი აღმოიჩინა ინგლისმა დღეს აღმოსავლეთში, ამას მომავალი გვიჩვენებს! დღეს-კი საქმე საქმედ რჩება და ოსმალეთმა უთუოდ უნდა გააუფლობესოს, განაკარგოს სომხების მდგომარეობა.

საინშანავსა და საინტერესო თხზულებებს ვერ მივაწვდნთ საზოგადოებას, ისეთი ღირებული ნაწარმოებებიც-კი არა გვაქვს თარგმნილნი, რომლის უქონლობაც, უდრის ლიტერატურის უქონლობასა. მხოლოდ თ. ი. მაჩაბლის წყალობით გვაქვს ხუთი-ოდე (ეს-კი უნდა ვსთქვათ, რომ ესენი საუკეთესონი არიან) შექსპირის დრამების ჩინებული თარგმანი, თორემ ჩვენ არა გვაქვს ვეტეს უკვდავი „ფაუსტი“, შილლერის დრამები (ლექსად), დანტეს ღირებული პოემა, ბაირონისა და ჰეინეს ნაწარმოებნი, ჰუგოსა და მიუსსეს თხზულებები, ბალზაკისა და ჟორჟ ზანდის, დკერსისა, ტეკერისა და ელიოტის რომანები.

„მოამბის“ დაარსებამ, სხვათა შორის, ის იმედიც მოგვცა, რომ შეიძლება ეს ნაკლი უცხოეთის ლიტერატურის შესახებ შეავსოს-თქო, რადგან ორიგინალური თხზულებები ცოტანი იბეჭდებიან და შეუძლებელიც არის სამმა ან ოთხმა კაცმა ხუთი ან ექვსი მოთხრობა გა-

სომხების უნუგუშო მდგომარეობამ ოსმალეთში—ერთის მხრით და მეორეს მხრით მათმა ენერგიულმა მოქმედებამ და არა ცრუ პატრიოტულმა ლაყობამ—საქმე ნახევრად მინც გააკეთა. დანარჩენი თვით სომხებზეა დამოკიდებული. ევროპამ მიაქცია ყურადღება მათს მდგომარეობას და მფარველობას უჩენს, მაგრამ მფარველობასაც კარგი მოხმარება უნდა. თუ სომხების ინტელიგენცია და ენერგიული, მდიდარი სოციალურად დასავლეთით გაბნეული დარჩა დედამიწის ზურგზედ, საექვოა, რომ ბნელმა და უმეცარმა მიწის-მოქმედმა და წვირლ მევახშე-ვაქარმა შესძლოს და გამოიყენოს მძლავრ სახელმწიფოთა მფარველობა! განგება მიუწოდებელია: ვინ იცის როგორ შეიცვლება მომავალი დღე? შეიძლება ოსმალეთის მტერი ხვალ მის მეგობრად ვახდეს და სომხებს მფარველობა წაერთვას. მაშინ ოსმალეთი არა თუ აღადგენს ძველ თავის სისტემას, არამედ, ჯობრედ, უარესად იმოქმედებს. მაშასადამე, საჭიროა ერმა თავისი ძალის იმედი იქონიოს და საქმე ისე მოაწყოს წინადაწინავე, რომ მუდამ სხვის საზარუნველად აღარ იყოს. სომხებს ისეთი ენერგიული ინტელიგენცია ჰყავს და ისეთი მარჯვე ელემენტის პატრონია, რომ, თუ ყველა ეს ოსმალეთის სამფლობელოში შეგროვდება, ისეთს მდიდარს და მძლავრს კუთხეს შექმნიან, რომ ნახევრად ველური მეზობლები მათ ვეღარას დააკლებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში—კი, უპატრონოდ მიგდებული ქვეყანა ისევ საგლეჯ ლუკმად ვახდება, როგორც-კი შეიცვლება დღევანდელი ისტორიული მომენტი.

ლალი.

### ახალი ამბავი

\* \* მოვავანებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს დილით ათ საათზე

მოაცხოს წელიწადში და ამით მთელის წლის სარჩო მისცეს ჟურნალს და მეტი-კი არავინა გვყავს ჯერ-ჯერობით. ხოლო თარგმნების შესახებ, როგორც სიტყვა-კაზმულის მწერლობისა, ისე საზოგადოდ ისტორიული-სა და ლიტერატურული ნაწარმოებებისა, „მოამბის“ რედაქციას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს ლიტერატურას. ამას კადევაც ასრულებს ჯერ-ჯერობით, თუ მივიღებთ სახეში, რომ ერთის წლის განმავლობაში გადავითარგმნა სენკვიჩის მშვენიერი მოთხრობები და მის წარჩინებულ რომანს გვითარგმნის, გადავითარგმნა ბურჟეს, დოდეს, ვალტერ სკოტის და სხვათა გამოჩენილთა ნაწარმოებები. მხოლოდ საჭიროა დიდის გარჩევით მოგვყაროს და დაბეჭდოს ხოლომე ის ნაწარმოები გამოჩენილის მწერალისა, რომელიც საუკეთესო მის თხზულებათაგანს ეკუთვნის, რადგან წერამალის დევნა ესლა ჩვენთვის შეუძლებელია<sup>1)</sup>. მაკვირვებს მაგ. თუ-კი გადათარგმნიდნენ და

<sup>1)</sup> კარგი იქნებოდა, ვინმე რომ აიღებდეს თავზე და შეადგენდეს სიას, თუ რა მწერლები და რომელი მათი ნაწარმოებები არიო საჭირო ჩვენთვის, ან და რომელი ვაჭკებს გადაუთარგმნელი. ეს მრავალ მთარგმნელს უჩვენებდა გზას და ტყვილა შრომას არ დააკარგინებდა:

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში მოხდება კრება განზრახულ საქველმოქმედო საზოგადოებისა. იმედია, ქართველი საზოგადოება გულგრილობას არ გამოიჩენს და ბლომად დაესწრება.

პირველს სექტემბერს ტფილისის თითქმის ყოველ სასწავლებლებში დაიწყო სწავლა. წელს მსურველი, როგორც საშუალო, ისე დაბალს სასწავლებლებში შესასვლელად, შარშანდელზედ გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ვაკანსიების სიმცირისა გამო ბევრნი რომელთაც ვგზამენები კარგად დაიჭირეს, არ იქნენ მიღებულნი. აშკარადა სჩანს, რომ რიცხვი სასწავლებელთა ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებელთა მოთხოვნილებას. (გაზ. „კავკასი“).

\* \* ხვალ, ოთხს სექტემბერს, ტფილისის საბჭოს ექმნება პირველი სხდომა, რომელიც, სხვათა შორის, განიხილავს ქალაქის პირველ დაწყებითის სასწავლებლების საქმეს.

\* \* წარსულ წელს ზაფხულზედ კახეთში მოგზაურობის დროს აკადემიკოსმა ა. ს. კოვალევსკიმ და პროფ. პ. გ. მელიქოვმა ყურადღება მიაქციეს გურჯაანის ახლოს ტალახის ტბას „ახ. ტალახ“, რომელიც ცნობილია ადგილობრივ მცხოვრებლებში, როგორც სამკურნალო ტალახის წყალი. მოგზაურებმა მაშინვე წაიღეს თან ნიმუში გამოსაკვლეველად. ესლა, როგორც გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ის შეუტყვია, პროფესორი მელიქოვი აპირებს თურმე მის ჯეროვანად გამოკვლევას, რისთვისაც გაეგზავნება მას ნოვოროსისის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ეს ტალახის წყალი.

\* \* 1 სექტემბერს ობოლოთა სასამართლომ მოიწვია თავის წევრებად წოდებთა დაწესებულებათაგან ამორჩეულნი. ვაჭრების საზოგადოებისაგან ამორჩეულნი იყვნენ ა. ნ. მილოვი და პ. ი. ალიბეგოვი,

ბეჭდავდნენ რასმე ბელომისას, რატომ არ უნდა გადაეთარგმნათ ყველაზედ პირველად მისის „ასის წლის შემდეგ“, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და რომელიც ყველა ევროპიულს ენაზედ არის გადათარგმნილი.

ესლა-კი მივაქციოთ ყურადღება იმ წიგნაკებს, რომელთაც ეს ჩვენი წერილი გამოიწვიეს.

ბ-ნის ნიკიტინის პატარა წიგნაკმა, უნდა გითხრათ, დიდად გვასიამოვნა. იმას-კი არ ვიტყვი, რომ ყველა მოთხრობა მანცა და მინც იმდენზედ ღირსეული იყოს, არა, მხოლოდ ასეთს ქართულს ენას ჩვენ ძვირად შევხვედრივართ, არა თუ თარგმანებში, ორიგინალშიაც-კი. ისეთი მუსიკალური ენაა, ისეთი კლასიკური სტილია, კლასიკური კონსტრუქცია ფრაზებთა, რომ უკეთესის ნატვრაც აღარ შეიძლება. გადავითვლიეროთ და ვნახოთ ნიმუშები:

ერთხელ მშვენიერ  
მთვარიან ღამეს  
ძლიერ დაფიქრდა  
ქვეყნის მპყრობელი  
ბრძენთ-ბრძენთა კრიშნა.

(„იყავნ კურთხეულ“, გვ. 11)  
რა მსურს და თოვლის ნაფერთალი  
სთქვა ჩემმა სატრფომ, ჩემმა სიცოცხლემ

ტფილისის მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებისაგან თ. ი. ყაითმაზოვი და ი. ი. ასიტოვი და ხელოსანთა წოდებისაგან ს. ა. ფანიაშვილი და ი. მ. საპილოვი-ჯოვანი. ექვსივენი დილის 10 საათზედ გამოცხადდნენ ობოლოთა სასამართლოს სადგომში, სადაც დაფიქრებულ იქნენ მართლ-მადიდებელ და სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოების მღვდლებისაგან და უკვე შეუდგნენ თავისი ახალის თანამდებობის აღსრულებას. ზემოხსენებული წევრნი ობოლოთა სასამართლოსი სამის წლით არიან ამორჩეულნი.

\* \* როგორც შევითყუთ, ხელოსანთა გამგეობას გარდაუწყვეტია სისხლის სამართლით უჩივლოს ვახეთ „ტფ. ფურც.“-ის რედაქციას, რომელმაც ამას წინად თავისი ვახეთის ერთს ნომერში გაკიცხა ხელოსნები, გამგეობა, იმათი არჩევანი და რამდენისამე სახელოსნო ამქრის უსტაბაში. ხელოსანთა გამგეობას პასუხი დაუწერია, მაგრამ რედაქციას ყურადღება არ მიუქცევია და არ დაუბეჭვია. ხელოსანთა გამგეობის საჩივარში, სხვათა შორის, ეს გარემოებაც არის აღნიშნული.

\* \* გაზ. „კავკასი“ ატყობინებენ ვილაც შეიჯარადრე ე—ს თავგასულს საქციელს. ამ ვაჭრებთან ყარსის რკინის გზის საკეთებლად დაუჭირა ვებია შორაპანში სამოც-და-ექვსი მუშა, დღეში ოთხ-აზაზად. მუშები ჩამოსულან ტფილისში და აქედგან ზედამხედველ ვანო კ—ძითურთ წასულან შულავერში სამუშაოდ. სამის დღის მუშაობის შემდეგ, შეიჯარადრეს გამოუცხადებია მათთვის, რომ წინანდელს ფასს აღარ მოგცემთო. ვისაც უნდა ოთხ-კუთხ საყენზედ მივცემ ერთს მანეთს, ვისაც არა და შეუძლიან მიბრძანდესო. მუშები არ დასთანხმებინან, რადგანაც დღეში აზაზი მოდიოდა უკანასკნელის პირობით. მათ თავი დაუხრებიათ მუშაობისათვის. მაშინ შეიჯარადრეს სამის

ჩემმა იმედმა,

განა ვერ ზედავ, ჩემო კარგო,  
ველსა და მდელის აყვავებულსა,  
სადლაა თოვლი, დიდი ხანია,  
რაც მზემ აიღო, შენ გეთაყვანე,  
სხვა რამ მომთხოვე, სხვა დამავალე  
და მაშინ ნახავ.

(„თოვლის ნაფერთალი“, გვ. 30).

აგერ ლოტოსის ყვავილსა ვხედავ  
ნელ-ნელა არხვეს სიო ღამისა,  
რა შეედრება ნეტა ამ ყვავილს  
(და) თვით სულდგმულთ შორის  
რა სჯობს მშვენიერს  
ნაზსა ლოტოსსა (იქვე).  
თითქმის დაებერდი,  
მწარე სიცოცხლე კიდევ მომბეზრდა,  
გული გამიტყდა,  
არა-რას ვხედავთ წუთი სოფელში  
სასიამოვნო;

ნეტა სიკვდილმა რად დამივიწყა.

(„დღესასწაული სიყვარულისა“, გვ. 6).

ასეთის ლექსებით, რომელთაც მხოლოდ რითმა აკლიათ აქა-იქა, სავსეა ყოველი მოთხრობა. მოთხრობები, რასაკვირველია, პროზით არის დაწერილი<sup>2)</sup>. ნეტავ თუ გგონიათ, ნიკიტინი თითებს ილაღავდეს მარც-

დლის ნამუშევრისათვის თითოსთვის ხუთ-ხუთი შაური მიეცა, ე. ი. რვა და ერთი მესამედი კაპიკისა დღეში. მუშები, როგორც იყო, ჩამოვიდნენ ტფილისში და ვოკზალის ახლოს ცის ქვეშ ატარებენ დღე-ღამეს და ელიან უფასო ბილეთებს წასასვლელად.

ისინი ვილასაც დაურწმუნებია, რომ ბილეთები უკვე გამოვიდა, და ზედამხედველ ვანო—კოძის აქვსო. ეს ვაჭრებთან ჯერ-ჯერობით ქეიფებშია გართული და ყურადღებას არ აქცევს თავის მოძმეთა გაჭირვებულს მდგომარეობას. აგერ რამდენიმე დღეა, მოტყუებული მუშები ცარიელ მიწაზედ ცის ქვეშ ატარებენ დროს და არც იციან, რითი და როგორ გადაწყდება მათი ბედი.

\* \* ტფილისში ამ ვამად კუქის ავადმყოფობაა გავრცელებული. ამგვარი სენი, რასაკვირველია, ცუდი თვისების სანოვავის ბრალია, უმეტესად დაბალ ღირსების სასტუმროებში, ორისა და სამის დღის მოხარშულს საქმელს აძლევენ მუშტარს. ამას გარდა სავსეა ქალაქი დამალისა და მკვახე ხილულობითა.

\* \* გამოვიდა მეოთხე ნომერი „ჯეილისა“ შემდეგის შინაარსით: I ნანა—ლექსი შიო მღვიმელისა, II „მარია“ კამეჩი—მოთხრობა თ. რაზიკაშვილისა, III ნატვრის ახდენა—ელიკოსი, IV ქურდი და ძაღლი (ეზოპიდგან) ლექსი პელაშვილისა.

V კუზიანი ლიეუ, ჩინური ზღაპარა—(თარგმანი) ალ. ბარნოვისა, VI ხალხური ლექსი—ჩაწერილი გ. წერეთლისა, VII ჩვენი მტრები—თ. ასათიანისა, VIII უზარ-მაზარნი ცხოველნი, გაგრძელება—ილიკოსი, IX გულადი ელენე ფრანგულიდან—ან. წ—ისა, X ჯეჯილისა მკითხველების საყურადღებოდ, XI ანდაზები, გამოცანები, შირი, ხალხური, ისტორიული აქროსტინი, შარადა და რებუსი.

ქიზიცი: ღვინის მოსავლიდან წელს, როგორც ყოველი კუთ-

ვლების თვლის გამო და ამას განგებ შერებოდეს. არა, ეს ნიქია, ამნაირად პროზის წერა, ისეთი ნიქია, როგორც ლექსის დაწერა და რომელიც შრომით არ მოიპოვება. ეს ნიქია დიდი დასაფასებელია და მეტად იშვიათი, მხოლოდ თუ ჩვენში არაფერს არ აქცევენ ჯეროვანს ყურადღებას და არ აფასებენ, შეხედეთ ევროპის მწერლებს და ნახავთ, რა ფასი ადევს მწერლის სტილს, ფრაზებთა კონსტრუქციას.

მეორე დიდი ნიქია ბ. ნიკიტინისა იხატება მაში, რამ მშვენიერად გაუგია თვით სული და გული მწერლისა, რამდენათაც იხატება იგი მთელს თხზულებაში, ყოველს ფრაზაში და ყოველს სიტყვაში, და დიდის სინამდვილითა აქვს იგი გადმოცემული. თუ რისამე „შექმნა“ ტალანტის მომასწავებელია, მე გგონია არა ნაკლებ ნიჭად უნდა ჩათვალოს ეს სიმპატიური თვისება მწერლისა, რომელიც სხვისაგან გამოხატულს გრძნობას ასე შეიგნებს, ასე შეითვისებს და გადასცემს მკითხველს. ამიტომ დიდად დასაფასებელია ჩვენთვის ასეთის მთარგმნელის გამოჩენა.

სასიამოვნო იქნებოდა მხოლოდ, რომ ბ. ნიკიტინი უფრო შესანიშნავის მწერლების თარგმნას მოჰკიდებდეს ხელსა. მე მრწამს, რომ უკე-

ხე საქართველოსი, ქიზიცი (კარიელი დარჩა. „სამაგნიტად“ ქვემო ქიზიციში ზურბ. მლორძე მწიფი მანკრამ მომუშაო ყანა თითქმის ხელიდან ეცლება ქიზიციელს, ხშირი ავღარი ხელს უშლის ძნის ლეწვას.

წინადაც ბევრჯელ ყოფილა ამისთანა შემთხვევა ქიზიციში. გასალეწი ძნა მეორე წლისათვის დარჩომით და ნახევარს ვეღარ გამოჩომიან, რადგანაც ზამთარში დარჩენილი ძნა ღებება და თავიც აფუქებს.

### კორესპონდენცია.

სამეგრელო, 31 აგვისტო. ნათქვამია: „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმტესო“, სწორედ ასე მოგვდის წელს ჩვენ. ჯერ იყო-და ხანგრძლივის გვალვებისაგან ჰირნახული დროზედ ვერ დაითესა, რადგანაც ამინდი ხელს არ იძლეოდა. ამგვარის გაჭირვებით შემუშავებული ყანები ივლისის თვის გვალვებმა ისე დაჩაგრა და ასწვა, რომ სიმინდები დღესაც უტაროთ დგანან. წინა წლებში ამ დროს გვიანხავს საკმაოდ ხმელი სიმინდები, რომლებსაც თითო წყრთა ტარო ექმნებოდა. წრეგანდელი სიმინდების ტარო, არამც თუ წყრთის ოდენაა, არამედ ერთი ციდაც არ არის და ისიც იმგვარს ადგილებში, სადაც ახლად მოტეხილია ყანები. მაღლომ ადგილებში ხომ ისეა გამოფუტბებული და ამწვარ-აშუშხული სიმინდები, რომ ერთს ტაროსაც ვერ მოტეხავენ. არც აგვისტოს თვემ მოუმართა ხელი ჯეჯილსა. თუმცა-და აგვისტოს პირველ რიცხვებიდან დღე ვაშმევებით წვიმა, მაგრამ ვერაფერი დღე დააყნა ჰირნახულსა, პირ-იქით მთლად მანებელი შეიქნა. მით უმეტეს, რომ ივლისში და აგვისტოში ტაროთ იწყობა სიმინდები და ამ დროს საჭირო იყო შიგა-და-შიგ წვიმა. აგვისტო-კი მარტივით დღეში ასჯერ იცვლიდა ფერსა: ხან წვიმა, ხან გამოიღარებდა და ხან-კი ისეთი

თესი მთარგმნელი მოპასანისა და ეორე ზანდის მოთხრობებისა ჩვენ არ გვეყოლება და არა თუ ჩვენ, იქნებ ჩვენს მეზობელ ლიტერატურის წარმომადგენელთა შორისაც არ მოიპოვოს. სულითა და გულით ვუსურვებთ მას გამარჯვებასა, მკითხველებს კი ურჩევთ მისის წიგნაკის მოპოვებას: ვარდა იმისა, რომ ეს წიგნაკი დიდს სიამოვნებას მოგანიჭებთ, საჭიროა წაქეზება მუშაკისა, რომ კვლავ უკეთესი გადმოითარგმნოს, რადგან ამისთვის მას ძალაც შესწევს და ხელოვნებაცა, მხოლოდ შეიძლება საზოგადოების გულ-გრილობამ ახალგაზდა მწერალს გული გაუტეხოს. მეორე ძვირფასი მთარგმნელი და „მოამბის“ გამამშვენიებელი ბ. გ. ყიფშიძე ვახლავთ. ამ მწერალს მშვენივრად აქვს ქართული ენა შესწავლილი და ისეთი ენისა მოხელე არის, რომ არა მგონია, რამე წიგნის გადათარგმნა გაუჭირდეს. სწორედ სული აქვს ენისა შესწავლილი, რომ იტყვიან, ტყუილად-კი არა სჩიოდა ჩვენის ენის გარყვანაზედ ამას წინა „მოამბ-“ში. მარტო ისეთის თხზულებების, ისე კარგად თარგმნა, როგორც ბურჟეს რომანები, ამტკიცებს თუ რა კარგი მცოდნეა ენისა ბ. ყიფშიძე. ურუქის რომანები ფსიქოლოგიურია და ფილოსოფიური, მი-

ელვა-ქუხილი იყო, რომ ცას თავზედ გვატეხდა. 18 აგვისტოს ისეთი ელვა-ქუხილი იყო და იმგვარად სუქი და, რომ მენება რამდენიმე სული შინაური საქონელი მოჰკლა. ამას ზედ დაურთო კაკლის ოდენა სეტყა, რომელმაც უამისოდაც წაშლარა სიმინდები და ბოსტნეულობა მიწასთან გასწორა. გარეული ფრინველები სეტყვისაგან დახოცილი მეორე დღეს სის ქვეშ ეყარა. ყოველივე ეს ღამით მოხდა. მიუხედავად ამისა, ახლა ჩვენც ისეთი სიცივეებია, რომ საზამთრო ტანისამოსი შეიქმნა საქირო. ასეთი ამინდები ცეცხლია პირნახულისათვის, რადგანაც უფრო სიცივეებს აქაური პირნახული ვერ იტანს და ვერც დამწიფებას ასწრებს. ღმერთმა უწყის, რა მოსავალი გვექნება წელს. ამბობენ, სიმშობობა იქნება...

**სოფ. თეკლათი, (სამეგრელო).**  
თეკლათისთანა უხვი და დოვლითიანი სოფელი მთელს მარაში იშვიათია. რა მცენარე გინდათ, რომ ამ საზოგადოებაში არ იხიროს. ამგვარს ბუნებისაგან დაჯილდოებული სოფლის პირნახული წელს, სწორედ მოგახსენოთ, სამწუხარო სურათს წარმოადგენს, მით უფრო რომ სიმინდების უმეტესი ნაწილი დღესაც უტაროდ ყალყსა სდგას. წინა წლებში ამ დროს გვინახავს უმეტესი ნაწილი სიმინდებისა ხმელი და ტეხვაც იწყებოდა: წელს-კი ნაადრევი სიმინდების უფრო ნაკვიანევი იძლევა იმედს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ბოლო დროს სიცივეების ეშინიანთ...

ჩვენს საზოგადოებაში წელს ახალი გზები გაჰყავთ. იმედია ადმინისტრაციის თეკლათის გაღმა გზაც არ გამოეპარება, რომელიც მთელს ქალაქში მიდის. ეს გზა ამ რამდენიმე წლის წინად გაიყვანეს და რამდენიმე ვერსის მანძილზედ კენჭიც მოაყარეს, მაგრამ დღეს-კი ამისი ნატამა-

სი გმირები ყოველ ნაირ ფილოსოფიურს სისტემებს ეხებიან თავიანთს ლაპარაკში, თუ ფიქრში და მის ქართულს ენაზედ გადმომცემს დიდი მადლობა ეკუთვნის და მისის მთარგმნელის მალალს ესტეტიურს გრძობასა და განვითარებას გვიმტკიცებს. მეტი კიდევ იმ რომანს, რომელიც ეხლა ცალკე წიგნად გამოუცია ბ. ყიფშიძეს, ისეთს დროს მიაქცია ყურადღება<sup>3)</sup>, როცა ბურჟეს სახელი ისე არა ქუხდა, როგორც დღესა და ეს კიდევ უფრო პატეხს სდებს მთარგმნელის ლიტერატურულს გემოსა.

მართალი რომ ვსთქვათ, ამ რომანების თარგმნის შემდეგ უნდა მოისპოს იქ უსამართლო ჩივილი და ყვედრება, რომ ქართულს ენაზედ ყოველივე არ ითქმის ისე თავისუფლად, როგორც სხვა ენებზედა და მძიმე, განყენებულ აზრებს ვერ შეეხებიო. თვით ეს „ცოდვა სიყვარულისა“-კი ერთი საუკეთესო ბურჟეს თხზულებათაგანია; ეს ის წიგნია, ამბობს ავტორი წინასიტყვაობაში, რომელშიც მე გამოვსთქვი გულახდილად ჩემი აზრები ჩვენის დროის ზოგიერთი უმწიფეს საგნების შე-

ლიც არა სჩანს. ისე დაოდრო-ჩოდროებულია ეს გზა, რომ ცოტა წამოწვივებაც საკმაოა, რომ მასზედ სიარული შეუძლებელი გახდეს ცხენითა-კი. ხალხს ტალახისა გამო სოფლის ნაწარმოები ქალაქში ვერ გაუტანია...

ტრიფონ კალანდარიშვილი.  
1895 წ., 31 აგვისტო.

**ჩილოქსმარასთან ბრძოლა.**

ადგილი წარმოსადგენია, რა სასარგებლო იქნება ვენახი ჩვენთვის, როდესაც კავკასიას რკინის გზით შეუერთებენ რუსეთს. მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც ჩნდება მშვენიერი ახალი ბაზარი, ბოლო ედება ვენახებს ფილოქსერისაგან. ამ საშინელ მტერთან ბრძოლას, თუმცა ერთობ ბევრი ფული მოახმარეს, ჯერ არაფერი ნაყოფი მოუტანია. საფილოქსერო დასები ეძებენ, პოულობენ ფილოქსერას, ერთი სოფლიდან მეორეში გადადიან და გადააქვთ თავისი გამოკვლევა, მაგრამ მწერი თითქოს დასცინის და თან სდევს მათ კვალში. ოთხ წელიწადზედ მეტი იქნება მას უკან, საფილოქსერო დასმა გასინჯა სოფელი ამაშუკეთი და მაშინ ვერა აღმოაჩინა-რა, მაგრამ ერთის თუ ორის წლის შემდეგ-კი აღმოჩნდა იქ ფილოქსერა. ამ რამდენიმე წლის წინად ალში ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს ფილოქსერა, წერულს იქაც აღმოჩნდა. რას მივაწეროთ ეს. საფილოქსერო დასების უგულობას, შემთხვევას, იმ გარემოებას, რომ თვით საფილოქსერო დასებს გადააქვთ ფილოქსერა ჯერ დაუვადადყოფებელს ვენახებში, თუ სამივეს ერთად? ამისი პასუხი შეუძლებელია, სანამ კარგად არ გამოიკვლევა საქმე.

ხოლო საქიროდ ცნობ მოვახსენო მკითხველს ერთი პატარა ამბავი. ამ რამდენიმე წლის წინად მეც „რაზსლედოვატლად“ გახლდით იმ დასში, რომელიც ამაშუკეთში სინჯავდა ვენახებს. ნაწვიმარევი იყო და ვენახებში...

სახეობა<sup>4)</sup>. ამ რომანზედ ჩვენ სხვა ადგილას (იხ. „მოამბე“ VIII, IX 1894 წ.) ბევრი ვილაპარაკეთ, ეხლა მხოლოდ არ შეგვიძლია ერთი რამ არ შევნიშნოთ ბ. ყიფშიძეს.

ჩვენ საზოგადოდ მომავლენებელ ცოდვად მიგვაჩნია რომელიმე მწერლის ნაწერებიდან რისამე გამოკლება, თუ გინდ სრულიად უმნიშვნელო სტრიქონებისა. თუ ყოველმა მთარგმნელმა შალაშინი უხვა მწერლის ნაწერებს და თავის გემოზედ ასწორა, მაშინ ორგინალური თხზულება სრულიად ფერს იცვლის და მწერალზედ სულ სხვა აზრს შეგვადგენინებს. განსაკუთრებით სიფრთხილით უნდა მოვექილოთ ამ შემთხვევაში ფრანგულ მწერლებს. მათ ტრადიციონური თაყვანისცემა ფორმისა აქვთ გამგადარი ძვალში და რბილში და რაც უნდა ნიჭით მდაბალი იყოს მწერალი, კომპოზიცია თხზულებისა ჩინებული აქვს. იგი ყოველთვის ასცილდება ხოლმე იმ უმნიშვნელო ადგილებს, რომელიც ტყუილია უბრალოდ აგრძელებს მოთხრობასა და ყოველთვის სახეში აქვს მკითხველის მოთმინება. ეს სიფრთხილე კიდევ უფრო დიდად საქიროა ისეთის მწერლის შესახებ, როგორც ბურჟესა. მისი რომანები ფსიხოლოგიურია და აქ ყოველს

ხებში ტალახი იდგა. თუმცა შეუძლებელი იყო ფილოქსერის ნახვა, მაგრამ ჩვენი პარტიის უფროსი—ვინ იცის, ეგებ ერთგულობით,—ძალით გვრეკდა ვენახებში და გვაძებნიდა ფილოქსერას! მაგრამ რა ნაყოფი მოიტანა მაშინდელმა ჩვენმა შრომამ, შემდეგმა დაგვანახვა. თუ მაშინდელ ჩემ უფროს რაზსლედოვატელს<sup>5)</sup> ან ექსპერტს საწყყნად დარჩება ეს ჩემი მოხსენება და ჩივილს დამიბრუნებენ, მზადა ვარ, ფარდა ავხალო ჩემს ვინაობას და პასუხი ვაგო, სადაც ჯერ იქნება. მაშ ვისურვოთ, რომ ამგვარი რამ აღარ გამოვრებულიყოს.

დიდი ფული იხარჯება ეგრედ წოდებულ „პიტომნიკებზე“, სადაც სამაგალითოდ აშენებენ ამერიკის ვაზს. მე ამისი წინააღმდეგი არა ვარ, რომ ანგარიშთანად გადაიდეს ხარჯი. მაგალითად ამერიკის ვაზის შესასწავლად გაგზავნილია ახლა საფრანგეთში ბ-ნი სტაროსელსკი. ჩემის ფიქრით, უმჯობესი იქნებოდა მოეწვიათ თვით საფრანგეთის ეგრონომი, რომელსაც ზედ-მიწევით ექმნება შესწავლილი ეს საქმე: აქედან შესასწავლად კაცის გაგზავნას, ის არა სჯობდა იქიდან მოეყვანათ ნაწილი კაცი?! მაგრამ ჩვენში ასეთი თავისი უარესი ურჩევნიანთ სხვის უკეთესს.

ფილოქსერა არ ჩნდება, როგორც უწყყან სილა მიწაზედ. მაგრამ ბევრმა ჩვენმა მემამულემ არ იცის ეს. სასურველია, რომ იმას მაინც მოინებარდნენ, რაც მოსახმარისია.

ამას გარდა ესაც ყველამ იცის, რომ ფილოქსერა შეიძლება ამოიჩიოს წყლის დაგუბებით. სასურველია, რომ, სადაც-კი შეიძლება, ყველგან მიჰმართონ ამ საშუალებას. წყლის-დაგუბება ყველგან არ არის შესაძლებელი, მეტადრე მთა-გორიან ადგილებში. ხოლო ზოგ შემთხვევაში იქაც შეიძლება. ამგვარ ადგილებშიც ბევრია პატარა-პატარა ვაკე მიწის-ნაჭრები, რომლებშიაც

სტრიქონს დიდი მნიშვნელობა აქვს ტიპის დასახსიათებლად.

ვერასფრით ვერ მივხვდარვართ, მაგ. როგორ იკისრა ბ. ყიფშიძემ არმან დე-ვერნის დღიურის გამოშვება (ფრანგულში გვ. 46—56. ქართ. 43 გვ. წინ) ეს რამდენიმე გვერდი საუკეთესო დამახასიათებელია ამ სიყმაწვილიდანვე გატაცვნილის ვაჟ-ბატონისა.

არ უნდა გამოეშვა მთარგმნელს არც ის ადგილი, სადაც არმანისა და ელენეს პირველი ცოდვა აწერილი (ფრანგ. გვ. 97—8. ქართულ. გვ. 80) ეს გამოშვებული ადგილი წერტილებითაც კია აღნიშნული. ფრანგული მწერალი აქ მეტის მეტ სინამდვილის მოყვარეობას იჩენს. ეს საზოგადო თვისება ფრანგულ მწერლებისა და ისეთი თვისება, რომელიც აიხსნება როგორც ლიტერატურულის ტრადიციითა, ისე ხალხის ვნებით აღსავსე ბუნებითა. ამ გარდამეტებულის „ქეშიარტების მოყვარეობით“ ზოგიერთ ფრანგულ კრიტიკოსებს (ქულ ლემეტრს, მაგ.) თავი მოსწონთ და საქებრად-კი მიჩნეა. თუ ეს მთარგმნელის ლიტერატურულს მორიდებულობასა და კრძალულებას გვიჩვენებს, სამაგიეროდ ორიგინალის ავტორის თამაზბასა და გაბედულობას გვიმაღავს

ასე უნდა დაგუბდეს წყალი: სავენახე უნდა შემოირავდეს რითიმე ირგვლივ. ღობეს უნდა ექმნეს ერთგან დატოვებული წყლის გასავალი კარი. სავენახედან უნდა იწყებოდეს არხი წვიმის წყლის საველად. მაშინ, დიდი წვიმის დროს, შესაძლებელი იქნება შეგროვდეს წყალი ვენახში და დაგუბდეს შიგ, სანამ ფილოქსერა ამოიჩიობოდეს. ამისთვის ვგონებ, ორ კვირამდე მეტი არ უნდა იყოს საქირო. ამ საშუალებით შეიძლება გაშენდეს, ჩემის ფიქრით, ბევრი ვენახი. მართალია, ამას ბევრი შრომა დასჭირდება, მაგრამ რა ვუყოთ, ძნელი დრო დაგვიდგა. მეტად გასჭირდა ცხოვრება და თუ შრომასა და მხნეობას არ მოვუმატეთ, ვეღარ ვიცხოვრებთ.

ფილოქსერისტად ნაყოფი ვასილ წერეთელი.  
30 აგვისტო, 1895 წ.

**უცხოეთი**

**საზრანგეთი.** გაზ. „ფიგარო“ დაწვრილებით ამბავს მოგვითხრობს იმის შესახებ, როგორ უნდოდათ აფეთქებინათ ბარონ როტშილდის კანტორა „ლაფიტ“-ის ქუჩაზედ. სახლს, სადაც კანტორა იყო მოთავსებული, მუდამ პოლიციელები სდარაჯობდნენ და იმის შემდეგ-კი, რაც მუქარის წერილების გზავნა დაიწყეს, მეთვალყურეობა თითქმის გააორკეცეს. 24 აგვისტოს აგენტები, რომლებიც სახლს ჰყარაულობდნენ, სახლის კარებებს უკან იყვნენ დამალულნი; მათ შენიშნეს კაცი, რომელიც ალაყაფის კარებში შევიდა, რაღაცა რგვლი საგანი გადაადგო და წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს აგენტები მისცივიდნენ და დაიჭირეს. უცნობმა კაცმა ბევრი იძალა, მაგრამ დროზედ სხვა პოლიციელებიც მიეშველნენ და შეიპყრეს. პოლიციელებმა აიღეს ყუმბარა, რომელიც

და ცრუ აზრს გვადგენებს მამზედა. ბევრი ჯადგულებია გამოშვებული შესანიშნავს მე-X-ე თავში, სადაც სამაგალითოდ არის აღწერილი მოთხრობის გმირის სულის ტანჯვა.

ერთს ვფიქრობთ ჩვენ ბ. ყიფშიძის გასამართლებლად, მან უთუოდ ეს მოთხრობა რუსულიდანა სთარგმნა. რუსეთის მთარგმნელებმა-კი თუ თავისი გემოზედ არ გადააკეთეს უცხოელ მწერლის ნაწერი, არ შეუძლიათ. თვით ბურჟეს disciple-ში („მოწაფე“) ბოლო მოაკვეცეს და მთელი მოთხრობა დაასახიჩრეს. სრულიად აღარა სჩანს ის იდეა, რომელიც ავტორს უნდადა თავის მოთხრობაში გაეტარებინა, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ეს იდეა მთარგმნელს არ მოსწონდა. ან-კი სხვა რაღა ვასაკვირველია, როცა უოლდის თხზულებას ასწორებენ. მაგრამ ეს ცული ჩვეულებაა და არც მისაბაძავია იგი, იმიტომ ბ. ყიფშიძეს ვურჩევთ, თუ-კი რაიმე ნაირად შესაძლებელია ასცდეს ამგვარ თარგმანებიდან თარგმნას. ერთი კიდევ უნდა შევნიშნოთ. ბ. ყიფშიძეს მოეხსენება, რომ ბურჟეს სალონის მწერალს უძახიან და მისი მოთხრობები რამდენადაც შეიძლება თავაზიანის კილოთი არის დაწერილი. პიტომ ისეთი ფრაზა,

არ გასქდა გადაგდების ტერორი ბოროტ-განმზრახველი პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. ამ ადგილას მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი, პოლიციელებს გარს შემოეხვივნენ და უყვიროდნენ: A mort! ხალხს ჰსურდა შეპყრობილი ხელიდან წაეგლიჯა პოლიციისთვის და ადგილობრივად გასწორებოდა დამნაშავეს. რის წვალებით გაარღვიეს ხალხი აგენტებმა და თავისი ტყვე დანიშნულს ადგილას მიიყვანეს. პოლიციის განყოფილებაში დამნაშავეს პოლიციის კომისარმა დაუწყა გამოკითხვა, მაგრამ მან არავითარი პასუხი არ მისცა,—არ დაუსახელა თავისი ვინაობა, საცხოვრებელი ადგილი და უთხრა მხოლოდ, რომ იგი ანარხისტი და ამხანაგებია ჰყავს, რომლებიც იმედი მაქვს შეასრულებენ იმას, რაც მე ვერ მოვახერხებო, სთქვა დამნაშავემ. დამნაშავე ასე 30 წლისა იქნება, მალალის ტანისაა, გამხდარია და გარეგნობით გულცივობა ეტყობა. სახე საშინლად გამხდარი აქვს, ასე რომ ძვლები თითო-თითოდ დაეთვლება, თვალები მეტად შავი და ცოცხალი აქვს. გასინჯვის დროს შეპყრობილს უზოვნეს საპონი და სამართებელი, რაიცა ამტკიცებს, რომ მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არა ჰქონია. ყუმბარა, რომელიც დამნაშავემ ისროლა, თუნუქისაგან შესდგება და გაყვანილი აქვს პატრუქი, რომ უფრო ადვილად აფეთქებულიყო. პოლიციის განყოფილებიდან ბოროტ-განმზრახველი პოლიციის პრეტყტურაში წაიყვანეს; აქაც იგივე უარი სთქვა თავისი ვინაობის დასახელებაზედ, როგორც წინად და ვანაცხადა, რომ 33 წლისაა, დიდი ხანი არ არის, რაც პარისში ჩამოვიდა ალყირიდან და ისიცა სთქვა, რომ არავითარი საქმე არა მქონია აქო. ჩაეკითხნენ, აგრეთვე რამ აიძულა ასეთი ბოროტი საქმე ჩადინა. დამნაშავემ ამაზედ ძალიან აბნეულად მისცა პასუხი და სთქვა მხოლოდ, რომ მსურდა კაპი-

როგორც ელენემ თავზედ ლაფი დისხაო“ (გვ. 203 ქართ.) ბურჟეს ენას არ შეესაბამება. აი ის როგორ ამბობს; elle lui appartient complètement (სულ ერთიანად დამოორჩილო). ეს თუმცა არაფერია, მაგრამ ავტორის სტილზედ შეიძლება სხვა აზრი შეადგენიოს მკითხველს.

ეხლა მხოლოდ სასურველია ბ. ყიფშიძემ ბურჟეს disciple-ც გადაგვითარგმნოს და მაშინ მისი წყალობით ერთი საუკეთესო ეხლანდელი მწერლის საუკეთესო ნაწარმოებები გვექნება ჩვენს ენაზედა. გარდა ამისა იმედია მრავალ კარგ სხვა თარგმანებსაც მოგვეცემს და ისეთი სერიოზული ნაწერებისას, როგორსაც აქამდის სთარგმნიდა. საქიროა ჩვენი მკითხველი საზოგადოება მიეჩვიოს ჰონსონ დე ტერალისა და კსავი დე მონტენის რომანებზედ უფრო დინჯისა და ტვინის გამაღვიძებელის რისამე კითხვას. საქიროა აგრეთვე მივაქციოთ ყურადღება იმ წერს, რომლის მოთხრობილებაც უფრო დიდია, ვინამ შემოხსენებული მწერლების ნაწარმოებით თავის შექცევა.

<sup>3)</sup> 1886 წლის „ივერიის“ ნომრებში გადათარგმნილია.

ტალისტების წინააღმდეგ „დემონსტრაცია“ მომხდინაო, — ამიტომ ყუმბარა ბერტოლეტის მარილისა და თოფის წამლისაგან შესდგება და შიგ არ არის არც ლუქსები და არც სხვა რამ იმგვარი, რაც ანგრევს და ანადგურებს სხვა-და-სხვა საგნებს. ამის მეტი ვერა ათქმევინეს-რადმინაშავეს. იუწყება რა ამ ამბავს, გახეთი „ფიგარო“, დასძენს, რომ ეს შემთხვევა მეცხრამეტეა და ამათგან საფრანგეთში ეს მეგრადმეტეა ხდებოდა ყუმბარით აფეთქების ამბავიო. ამათში ერთი 1882 წელს მოხდა, ხოლო დანარჩენი 18-ტი 1892 წლის შემდეგაო. ამათგან 10-ის შემთხვევის დამნაშავენი დაუსჯელნი დარჩნენო.

ლონდონში მყოფ ოსმალეთის ელჩის დეპუტატმა, რომლითაც იგი ლორდ სოლსბერისთან ლაპარაკის შინაარსს იუწყება სტამბოლში, სომხეთის საქმის შესახებ, „ჰავასის სააგენტოს“ შემდეგი საყურადღებო ადგილები მოჰყავს: „მე ვუთხარიო, — იწერება რუსტემ-ფაშა, რომ ოსმალეთის მთავრობა სრულიადაც არ არის წინააღმდეგი ბერლინის ხელშეკრულების მე-61 მუხლის შესრულებას, — რომ იგი სრულიად თანახმა ამ ხელშეკრულებასზედ ხელის მოწერას ხელმწიფობთან, მაგრამ არა მსურს სომხეთში საერთაშორისო კომისიის კონტროლი იქმნას დადგენილი. ლორდმა სოლსბერიმ ლაპარაკი გამოწყვეტინა და მითხრა: „შემდეგი ლაპარაკი სრულიად უსარგებლო იქნება. მე მხოლოდ იმასვე გავიმეორებ, რაც უკვე ვთქვი: თუ რომ თქვენი მთავრობა უარს იტყვის ამასზედ, მაშინ ჩვენ სახელმწიფოებს აპპელაციას წარვუდგენთ, მოვითხოვთ კონგრესის მოწვევას და ხელშეკრულების მე-61 მუხლის შესრულებასა და საერთაშორისო კომისიის დანიშვნასაო; ხოლო თუ კიდევ წინააღმდეგობას განაცხადებთ, მაშინ იცოდეთ ოსმალეთის დანაწილების დღე მოახლოვებულ იქნებაო“. ამის გაგონებაზედ თვალზედ ცრემლი მომერია და გაუწყებთ ამ სამწუხარო ამბავს; ავადმყოფობას ვგრძნობო“, ასე ათავებს დეპუტატს ოსმალეთის ელჩი.

**ინგლისი.** მუშათა კონგრესზედ, ოთხს აგვისტოს, წარდგენილ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც იწვევდნენ მთავრობას, რათა მიიღოს მან რამე ღონისძიება სხვა სახელმწიფოებიდან მოსულ მუშების წინააღმდეგ, რომლებიც ადგილობრივ მუშებს სამუშაოს უმცირებენ. ამ წინადადების წინააღმდეგნი იყვნენ უმრავლესი რიცხვი დელეგატებისა. ბოლოს, დიდის კამათის შემდეგ, წინადადება შეწყნარებულ იქნა 266 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 246-სა. კრებამ შეიწყნარა აგრეთვე რეზოლიუცია პარლამენტის წევრების ჯამაგირის დანიშვნის შესახებ, ადგილობრივ კანონმდებლობითის ცვლილებების შესახებ და სხვა... ერთხმად შეიწყნარეს აგრეთვე წინადადება, რომლითაც პარლამენტის კომიტეტს არა აქვს ნება შესცვალოს წესდება კონგრესის ნება დაუროველოდ.

**ნარკვევა**

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ამ დღეებში ოსმალეთის დიდს ვეზირს ჰქონია ლაპარაკი ვენის გაზეთ „პოლიტიშ კორესპონდენს“-ის სტამბოლელ კორესპონდენტთან სომხეთისა და მაკედონიის საქმის შესახებ.

სომხეთის საქმის შესახებ საიდ-ფაშას აზრი გამოსთქვა, რომ იმედია ეს მოლაპარაკება მალე გარდაწყვეტს სასურველად სავანსაო. საზოგადოდ ეს ცვლილებანი მარტო სომხეთში-კი არა, ოტტომანის მთელს იმპერიას შიგ იქნება შემოდებულიო. არსებითად არც-კია საჭირო დაკანონებული რეფორმების შემოღება, საჭიროა მხოლოდ უკვე მომხდარი დადგენილებანი იქმნან აღსრულებულნიო.

რაც შეეხება მაკედონიას, საიდ-ფაშამ განაცხადა, რომ მარტა სრულიად ნდობით ეყრება ბულგარიის მთავრობის მიერ მიღებულ საშუალებათ, რომლებიც მიმართულია იმის წინააღმდეგ, რომ ინსურგენტები არ გადავიდნენ ოსმალეთის ტერიტორიაში და თავს-დასხმა არ მოახდინონ. „იმედია უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში მაკედონიაში რაიმე აჯანყების მოლოდინი აღარ უნდა გვქონდეს, რადგანაც ოსმალეთიც თავის მხრივ საჭირო საშუალებას ხმარობს მისს მოსახლობლად, დასძენს ოსმალეთის დიდი ვეზირი“. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ბულგარიის ექსარხის მაკედონიისათვის ორს სავსიკოპოსო ადგილს კიდევ თხოულობს, ეს სურვილი ჯერ-ჯერობით არ იქნება ასრულებული, რადგანაც მაკედონიის მცხოვრებლებს ვგონებოდათ, რომ ოსმალეთის მთავრობამ აქ მომხდარის აჯანყების შიშისა გამო აღუსრულა თხოვნაო.

**დეპეშა**

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 სექტემბერი.

**პეტერბურგი, 1 სექტემბერი.** მეორე შინაგან სესხის უმთავრესი მოგებანი 59 ტრიაჟის მოხდენის დროს მხვდა შემდეგს ბილეთებს:

№ სერია.	№ ბილ.	ბილეთი.
13248	39	200,000
1245	30	75,000
2117	37	40,000
13060	50	25,000
17429	18	10,000
1880	20	10,000
7972	30	10,000
14117	7	8,000
8071	18	8,000
16267	9	8,000
12115	19	8,000
13300	16	8,000
7705	11	5,000
1730	9	5,000
19034	38	5,000
9610	30	5,000
6270	2	5,000
10468	22	5,000
3420	42	5,000
17181	27	5,000
12733	3	1,000
1884	40	1,000
12271	11	1,000
1320	11	1,000
15662	7	1,000
248	18	1,000

11455	17	1,000
16294	12	1,000
8871	27	1,000
8593	17	1,000
5002	19	1,000
2576	28	1,000
17761	26	1,000
11228	24	1,000
10532	44	1,000
6271	47	1,000
17107	30	1,000
4801	35	1,000
1229	36	1,000
7377	25	1,000

სტამბოლი, 31 აგვისტო (12 სექტემბერი). რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებმა მიიღეს თურქან-ფაშისაგან ამბავი იმის შესახებ, რომ ოსმალეთის მთავრობა დასთანხმებულია სომხეთში რეფორმები შემოიღოს. ინგლისის ელჩმა, ჰოვია რომ დაიგვიანა ოსმალეთის მთავრობამ, ამიტომ მოიწვია პორტა ამ საგნის შესახებ პირ და-პირ ლონდონთან ექნეს მოლაპარაკება. ოსმალეთი თანახმა გახდა, სომხეთს საქმეების შესახებ უმთავრესი კომისია იქმნას დაარსებული, რომელსაც პირ-და-პირი დამოკიდებულება ექნება ელჩებთან. ოსმალეთმა მიიღო გარდა ამისა, ხუთი მუხლი სამთა სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი 11 მაისიდან. ამგვარად ოსმალეთის მიერ შეწყნარებულ იქნა ჰაბირატენის წინადადებანი სახელმწიფოთა

1 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** ოლეკმისა და ვიტმისკის ოქროს-მწარმოებელთ მათის უდიდებულესობის დაქორწინების სახსოვრად 12,000 მან. შესწირეს სამთა ინსტიტუტისა და ირკუტსკის სამთა სასწავლებლის ორის სტიპენდიისათვის. ხელმწიფე იმპერატორმა უქვეშევრდომილეს მოხსენებაზედ საკუთარს ხელით მოაწერა: „თანახმა ვარ. გულწრფელად ვმადლობ.“

**ლონდონი.** „ტაიმსი“ იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ მიჰმართა წინადადებით ბრიუსელს, რომლითაც აჩქარებულს ოტოკისის სასჯელს ამტყუვნებს.

**ვეტერბურგის ბირჟა, 1 სექტემბერი.**

საგანი	მუდგ.	მან. კ.	გაყიდ.	მან. კ.
უთ-მანეთიანი ოქრო	7,40	7,40	—	—
6% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურთა ბანკისა	—	—	215 1/4	—
4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა	—	—	100 1/4	—
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურთა ბანკისა	—	—	—	—
6% იმევე ბანკისა	—	—	—	—
5% ტფილისის სათავად-აზნაურთა ბანკისა	—	—	—	—
5% იმევე ბანკისა	—	—	—	—
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრებლთა საზოგადოებისა	—	99 1/4	—	—

**ბანსხალეხანი**

ბირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუთაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დიღობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.

იმათ, ვისაც სჭირს: სნეულეხანი სახირურგო, ვენერიული და სიფილისი. გ. მ. ჩიქვანი, 9—10 საათ. სნეულეხანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქაჯი ა. ა. ზაფრაკინ შერბანისისა, 10—11 საათ. სნეულეხანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ა. ჭ. ზაფრაკინი, 12—1 საათ. სნეულეხანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ბ. ზ. გაჩაჩავაძე, 1—1 1/2 საათ. სნეულეხანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოაბით:

ა. ფ. ზაფრაკინი, 5—6: სამაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ბ. გ. გურგა, 6—7 საათ. სნეულეხანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ბ. გ. გურგა. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

ჩრევა-დარიგების და რეცეპტის აწერის-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსა დირექტორი მადიციანის ნავასარდიანი. (857—1468)

**ბუჩიალა სახამებელი**

კელარისა

როგორც მშრალი ისე დამზადებული სითხეთ და აგრეთვე

ლილა

კელარისა

სარეცხისათვის,

ყველა ესენი თვისის ღირსებით ბევრით მაღლა სდგანან, როგორც რუსეთისა, ისე საზღვარ-გარეთის ამგვარ ნაწარმოებებზედ.

ისყიდება

ჰველბან ლე ჰველა

ცნობილ ვაჭრებთან.

(2—27—2).



სსოპრეპა

დიდისა მოწამისა ბანტლეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ა. ჩანუსისა

ზასი ერთი ზაური

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

**წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მალაჩინისი**

ისყიდება შემდეგი წიგნები: საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

მან. კაპ.

ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . . . . 40

ვისრამიანი . . . . . 1 50

თხზულ. რ. ერისთავისა II . . . . . 4

ქილილა და დამანა . . . . . 3

მარიამი, მოთხრობა ყმაწვილებისათვის, შმიდტისა . . . . . 10

ლექსები და წერილები ნ. ბარათაშვილისა . . . . . 60

ქართლის ცხოვრება . . . . . 8

იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . . . . . 12 50

საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . 1

საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . 70

საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა . . . . . 70

ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი . . . . . 1 50

წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა . . . . . 40

სამი ისტორიული ქრონიკა მისივე . . . . . 1

ქრონიკები თ. ყორღანისა გამოცემულნი . . . . . 3

საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა 3 30

სამცხე მისივე . . . . . 25

ქართლი მისივე . . . . . 25

მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . . . . 40

მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე . . . . . 20

ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე . . . . . 25

ათაბაგნი ბექა და ალბულა და მათი სამართალი, მისივე . . . . . 50

თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა . . . . . 15

სვიმონ მეფე, მისივე . . . . . 10

როსტომ მეფე, მისივე . . . . . 10

Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Чага-

рели. I выпускъ . . . . . 1 25

II вып. . . . . 1 25

III вып. . . . . 1 50

О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . . . 50

Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . 3

Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова . . . . . 2

Грузинскіе дворянскіе акты, его-же . . . . . 60

Переписка грузинскихъ царей съ російскими государями . . . . . 3

Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Вѣлюкова . . . . . 3

Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе . . . . . 2 50

Матеріалы для исторіи Кавказа. Бутрова 3 т. 7 50